„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შეძელო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №9 (287) 26 სექტემბერი, ხუთშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

დემოკრატიის მერხებთან

პარადოქსი - ნატოში შევდივართ! მაგრამ გვავიწყდება რომ არცერთ ქვეყანაში არ დგას

2 დიდი დაპირისპირებული ქვეყნის სამხედრო ბაზა

სანამ დემოკრატიას და პოლიტიკოსობას ვისწავლით, ქვეყანა თავზე დაგვენგრევა

დაბოლოს ხალხი ამდენი დაპირისპირებით, ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის დემოტივაციას, პატრიოტიზმს ამოფარებულთა ავტასობით

მე-2 გვ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია - ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ.

მე-3 გვ

ფოთში მდინარე რიონის არხის გაწმენდის სამუშაოები განხორციელდება

მე-3 გვ

სურვილები ქვეყნის გეოსტრატეგიული მდგომარეობის გამო

მიმართვა საქართველოს პრემიერ მინისტრს გიორგი გახარიას

მე-5 გვ



ნაწყვეტები ახალი წიგნიდან

ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს გონივრულად მოწყობის და საზოგადოებრივ პოლიტიკური გარდაქმნების თაობაზე (მეორე ნაწილი)

მე-6 გვ

მომავალზე ორიენტირებული, ინოვაციებით გამორჩეული

თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა 10 წლის ხდება

მე-4 გვ

მეტი სკოლა-მეტი მოსწავლე!

ცუდი სიგნალი საქართველოში: 10 სკოლამ პირველი კლასელი ვერ მიიღო

მასწავლებელო-ჩაიბარე საქართველოს მომავალი!

ახალი საქართველო, ახალი თაობის ასპარეზი უნდა გახდეს, სკოლამ უნდა აღზარდოს თაობები ღვთის წიაღშისულიერად ამაღლებული, აზიაროს დიდი მეცნიერების საფუძვლებს ერის ისტორიის მისი სიდიადის გააზრებით, ეროვნულ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, 21 საუკუნის ყველა გამოწვევისათვის მზადყოფნით. სასკოლო ცხოვრება უნდა წარიმართოს ორი პარამეტრით-აღზრდა და განათლება-პატრიოტი, პროფესიონალი და მოქალაქე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად ფუძდება ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზენტაცია

მე-3 გვ

მილოცვა

ახლახან, მეცნიერების, განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის ბრძანებით **ჭაბუკი ქოიავა** მე-8 საჯარო სკოლის დირექტორად დაინიშნა.

ვულოცავთ ცნობილ მწერალს, კარგ პედაგოგს, ნაღდ ფოთელს დიდ ასპარეზზე დაბრუნებას და კვლავინდებურად ვუსურვებთ წარმატებებს, როგორც სამწერლო, ისე საგანმანათლებლო დარგში.

გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქცია

შეკითხვები ფოთის პორტის განვითარებასთან დაკავშირებით

მე-5 გვ

ყველა გზა ბაზართან მიდის

ნოდარ კორსანტია-ბიზნესმენი და ქველმოქმედი

მე-6 გვ

ფოთმა შერეულ ორთაბრძოლებში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა

მე-8 გვ

დემოკრატიის მერხებთან

პარადოქსი - ნატოში შევდივართ! მაგრამ გვავიწყდება რომ არცერთ ქვეყანაში არ დგას 2 დიდი დაპირისპირებული ქვეყნის სამხედრო ბაზა

სანამ დემოკრატიას და პოლიტიკოსობას ვისწავლით, ქვეყანა თავზე დაგვენგრევა

დაიღალა ხალხი ამდენი დაპირისპირებით, ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის დემოკრატიას,პატრიოტიზმს ამოფარებულთა ავკაცობით

ქვეყნის უბედურება ის არის ,,ნაცები" ,,ოცნების" გასამართლებას ითხოვენ. ხელისუფლება მაცდური რამ გამოდგაარადა არ ეშვებიან, 30 წელია ერთი და იგივე გვესმის, - ნატოში შევალთ, ევროკავირში შევალთ! ავშენდებით, ავყვავდებით, შედეგი? ყველა მთავრობა გავაცილეთ ამ დაპირებებით, სული მოითქვეს, ზოგმა დაგვიფასა, ზოგმ-არა ჩვენი დემოკრატია და მხარდაჭერა, ჩვენ კი გული გვწყდება, ამათ ძალაც და უფლებაც ხალხმა მისცა, სადაა შედეგი? ხალხი მარტო საარჩევნო ხმა ხომ არაა, პირველ რიგში კაცად უნდა გრძნობდე თავს- სამსახური, ხელფასი, ოჯახი, მეგობრები, სადაა მერე? ყველაზე უმადური მაინც ,,ნაცმოძრაობა" გამოდგა, არ გვეშვება, არადა, ეს რამდენი უბედურება დაამკვიდრეს-სამართლებრივი სივრცედან გასულია ქვეყანა, ისევ გადატრიალებას აწყობენ და ვერ ეხები-პოლიტიკური დევნილები არიან, როგორ უნდა იცხოვრო იმ ქვეყანაში მელია-ოქრუაშვილი გადატრიალებას რომ მოგიწყობს ერთ ღამეში, თანაც რუსიც ხელს უწყობს პროვოკაციების მოწყობაში- ასე გიქნიათ დაგიხოციათ ერთმანეთი, გაკვეთილები არა გვაქვს საკმარისად?- 1991-1993 წლები (სამოქალაქო ომი) მერე ვიღაც ივარგებს - მოდის ხელისუფლებაში-ჩვენ ხალხი, ისევ გაცრუებული იმედები, ახლა ,,ოცნების" წინააღმდეგ იკრებენ ძალებს, ისე არც ,,ოცნებას" უნდა წასვლა და არც ,,ნაცებს". შუაგაკრეფილია, ახალი ძალა არ ჩანს, გამოცდილი, იდეური, ეროვნული ძალა.

ყველა ივანიშვილის წინააღმდეგ! თუმცა, იმიტომ კი არ ებრძვიან რაღაცას ვერ გაართვა თავი, არა მხოლოდ მოცილება უნდათ? ისევ ალბათ უბედურებას დაატრიალებენ, ისევ ქვეყნის ბედს ესენი წყვეტენ, ნატოში შესვლაზე კონფერენციებს ატარებენ, ძველ მეგობრებს იყენებენ ,,პატრიოტები", ,,ერისკაცები", მიზანი სხვა რამაა. ნატო შეიძლება ხაფანგად გვექცეს, თუ აფხაზეთი-ოსეთი საქართველოა- ვის გაუგია ერთ ქვეყანაში ორი უზარმაზარი დაპირისპირებული ძალა იდგეს, ერთი შეტაკებაც საკმარისია- გადაგვიყოლონ. ისინი რას კარგავენ! ისინი შორს არიან! ოკიანის გაღმა-გამოღმა, რუსები მსოფლიოს არ უშვენენ ანგარიშს, ამ აგრესორისგან ყველაფერია მოსალოდნელი. საქართველოს ერთიანობა, წინდახედული პოლიტიკა თუ გადაარჩენს, პოლიტიკურ ამბიციებს არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა, მემკვიდრეობად პოლიტიკური აუტიზმი არ უნდა დავუტოვოთ თაობებს, ეს რა სიმახინჯეა, ქვეყანას მტრობა და ნგრევა, ქონების დატაცება-ესაა ევროპელობა? დემოკრატიასა და ევროპულობას ამოფარებულებს, ვითომ პროდასავლური კურსით მივყავართ, არადა 9 წლიანი რეჟიმი პროდასავლური იყო თუ ამერიკული? ეროვნული კურსია მთავარი. შენი ქვეყნის ისტორია სხვაზე ნაკლები არაფრითაა, რა დროს გვქონდა დარბაზობა-პარლამენტი, ქალის და კაცის თანასწორობა, უნდა აღორძინდეს ეს ფესვები სახელმწიფოებრიობისა, ნატო არ ედგა გვერდით დავითს და ერეკლეს, მაგრამ ქვეყანას უვლიდნენ. ამ გახსენებაზე- ისევ ქართველების უკუღმართობით დაქცეულ ქვეყანას 2008-ში ნატო გვერდით რომ დადგომოდა-მაპი მიეცა, რუსებს იქნებ ეს აგრესია ვერ გაებედათ, ვერც საქართველოში და ვერც-უკრაინაში. დღეს უმრავლესობას მიაჩნია, რომ უნდა შევიდეთ ნატოში, რადგანაც რუსებისაგან თავი უნდა დავიცვათ, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელია ტერიტორიების დაბრუნება ძალის გარეშე? თანაც ნატოში შესვლა აფხაზეთ-ოსეთის გარეშე? არადა ნატოს მე-5 პუნქტი აქ გვჭირდება, მაგრამ, როცა თვითონ ქვეყანაში არაა ერთიანობა, არის ღალატი, დაუნდობლობა, ხელისუფლების გამო ყველას და ყველაფრის განწირვა, თავდაცვის გაძლიერების ნაცვლად ათასი მახინაციები და ფულის შოვნა (კეზერაშვილები და მისთანები ამ ფულით გვიპირებენ დანგრევას), ასეთ დროს სხვა ქვეყნები რატომ გამოიდგებენ თავს? მიუმხრობლობა კარგია თუ რუსები ბაზებს გაიყვანენ. მოკლედ, ჯერ ქვეყანა უნდა გავაძლიეროთ, სახელმწიფოდ ვაქციოთ. დასავლეთი რუსეთს ანგარიშს უწევს და მასთან ურთიერთობის გამწვავებას დიალოგს ამჯობინებს, ხოლო აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი რუსეთს დიდი შვიდეულის ფორმატში დაბრუნებაზე საუბრობს, ევროპა კი რუსეთთან ერთად უსაფრთხოების ახალ სისტემას ქმნის. ეს პარადოქსია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასკვნებს სხვადასხვა დონის პოლიტიკოსები აკეთებენ- პირველს -დევიდ კრამერი, მეთიუ ბრაიზა და ა. შ. მეორეს-აშშ, საფრანგეთის პრეზიდენტები. რატომღაც ვერ ვხედავთ ამ ახალ რეალობას, ჩვენ დღესაც არ გამოგვიტანია დასკვნები დიდი შეცდომებიდან, რა მოგვიტანა რუსეთთან ომისაკენ წაქეზებამ, თანაც დაუჯერებელია თავგამოდება ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად იმ ძალებისგან, ვინც 9 წელი ჯვარს აცვა ქვეყანა და, საერთოდ, პარადოქსია, როცა დაკარგული ტერიტორიების აღსადგენად ღამის მსოფლიოს შეძრავ და ამ ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობა 27 წელია უბინაოდაა, უსამსახუროდ და თვეში 50 ლარით დახმარების იმედად დარჩენილებს დღესაც ქუჩაში ერეკებიან, რაღაც ბარაკის მსგავსი შენობებიდან. ამ დროს მათი ნაწილი ბედის ირონიით რუსეთში გადაიხვეწა სხვა ათასობით ქართველებთან ერთად და იქიდან არჩენენ ოჯახებს. მართლაც მომთმენი ხალხი ვართ, არცერთი ერი ამას მთავრობას არ აპტიებდა და ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს მოაწყობდა, თუნდაც თავად დაზარალებულები, დევნილები, განა ცოტა არიან? მაგრამ სხვისი ჭირიდობის ჩხირიც არ ყოფილა, ჩვენთან სოლიდარობა უფრო ნარკომანებს და ლიბერასტებს უცხადებენ...

ვიღაცას ეს საკითხები საარჩევნოდ ახსენდება, იგონებენ იმიტაციებს, იდგმება რაღაც სპექტაკლების მსგავსი (მოდელირებული ქრონიკის არ იყოს) ატარებენ კონფერენციებს ნატოში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარეშე შესვლის თაობაზე, თანაც მისი მონაწილეები აშშ-ს ყოფილი პოლიტიკოსები არიან და უფრო ,,ნაცების" რეაბილიტაციას ცდილობენ საარჩევნოდ, ვინემ რეალური პრობლემის გადაწყვეტას, მით უფრო ეს მათზე არ არის დამოკიდებული, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტის ვიცე სპიკერის, ირმა ინაშვილის კონფერენციაზე არ შეშვება და ცინიკური მოპყრობა თუ ფიზიკური შეურაცყოფა იმაზე მიანიშნებს, რომ ესენი დემოკრატიული პარტნიორები კი არა მოძალადეები არიან, იგივეს, ვოქვათ, ქართველი პოლიტიკოსისგან ამერიკელი სენატორის გამოგდებას თავიანთ ქვეყანაში მოითმენდნენ?

რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება, გინდაც ომი აწყობს ,,ნაცებს" ,,ლიბერასტებს", თუნდაც დაქცეულა ქვეყანა, ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და ყველიფონ ქვეყანა, პრაქტიკა თუ გამოცდილება, არა აქვთ თუ რა? ამ ხელისუფლების უბედურება ისაა, რომ ხალხს ვერ მიხედა-გაჭირვებამ, სიღარიბემ ოჯახები დაანგრია, მიდის ნარკომანიისა და გარყვნილების პროპაგანდა.(ეს ქვეყნის გაუბედურების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. თანაც ნარკობარიგები მილიონებს ითვისებენ) მშობლები შვილებს პორნოსკანდალში ხვევენ, და ეს ხდება ადამიანთა თავისუფლების და დემოკრატიის ეგიდით, ასეთ დროს ხელისუფალთა ამოცანა უნდა იყოს სამართლიანობის აღდგენა, კორუფციის განდევნა და რეალური რეფორმები ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებაში, მაშინ დადგება ხალხი მათ გვერდით, მაშინ ვერ გაბედავენ ეს ნაძირლები ხელისუფლების დამხობას, რუსეთუმების დაძახებას ქვეყნის ხელისუფლებისადმი, რომელთაც მართლაც უნდათ დაიწყონ დიალოგი რუსეთთან, საერთაშორისო ძალების ჩართვით და არა ამ მავნებლების ჭკუაზე იარონ, ვითომ სამშობლოზე სიყვარულით გაგიჟებულები, ნატო-ევროკავშირს ამოფარებულები ცდილობენ ქართველი ხალხის მოტყუებას, ვიმეორებ, ხელისუფლება, როცა საქვეყნო საქმეს აკეთებს და მართალია ხალხის წინაშე, აი, მაშინაა ყველაზე დიდი იარაღი ,,ნაცების" გასანადგურებლად, რომელსაც ბევრ საკითხში ,,ოცნების" უნიათობა საბაბს აძლევს და ღამისაა მიშას პერიოდი მოანატრონ ხალხს, ეს არ უნდა დავუშვათ. ერთი წელი ცოტა დროა ვითარების გამოსასწორებლად, მაგრამ იგი არა მარტო ხელისუფლების და ,,ოცნების" პრესტიჟს უკავშირდება, არამედ ,,ნაციონალების" ჩამოცილებას პოლიტიკური ასპარეზიდან. ეს არანაკლები ამოცანაა, ვინემ ნატოში შესვლა-არ შესვლა ქვეყანა უნდა დაადგეს სახელმწიფო მშენებლობის გზას და ეს არ მოხდება ისეთ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა მიზანი მხოლოდ ხელისუფლების ხელში ჩადგება და შენარჩუნებაა, და არა ხალხის, ქვეყნის კეთილდღეობა, როცა 30 წლის განმავლობაში ყველა ხელისუფლება ჩამოსაგდებია, სამწუხარო ისაა, რომ დაფარული ,,ნაცები"- ე.წ.-პარტიული ლიდერები სააკაშვილ-ივანიშვილის ტოლობაზე ლაპარაკობს-ყველა ივანიშვილის წინააღმდეგია, არადა, როცა პარლამენტში დასვა ეს მართლაც უსაქმურები (გვარები თქვენს მეხსიერებაზე მიმინდვია), ხმას არ იღებდნენ-ზოგს ეძინა, ზოგი თვლემდა, (მათი სახლები კი შენდებოდა და ცისკენ მიიწევდა სართულებად).

ბიძინა ივანიშვილმა რეჟიმის დამხობით დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა და ვერც მიიყვანს ამათ ხელში. ერთი კაცი საქმეს ვერ შველის, არაფორმალური მმართველობაც უნდა დამთავრდეს და ახალ ხელისუფლებას უნდა გადავცეთ ქვეყანა-ვინც შეძლებს ნამდვილი დემოკრატიის, სახელმწიფოს მშენებლობას, ერის ერთობას, ეკონომიკური აღმავლობის რეალობას, სათავეში უნდა მოვიდნენ მოაზროვნეები, კეთილსინდისიერები, სამშობლოზე შეყვარებული სახელმწიფო კაცები, ეს ხალხზეა დამოკიდებული და პროპორციული არჩევნები ამის საშუალებას იძლევა, ჰა-ბური და ჰა-მოედანი, ახლა გამოჩნდება ვის უჭერს ხალხი მხარს. მთავარია არჩევნებში ისევ არ დაუშვათ შეცდომა, რომელიც აგერ 30 წელია ბუმერანგივით ბრუნდება, არადა, პოლიტიკური სურათი ნათელია, ვინ-ვინ არის, ვითომ პოლიტიკოსი, მოლაყბე, თაღლითი, კორუმპირებული, თუ პროფესიონალი პოლიტიკოსი, პატრიოტი, ქვეყნის ბედით შეწუხებული, ბიზნესმენები ისევ მოიწევენ ასპარეზისკენ, ეს ერთგვარი თავდაცვის საშუალება გახდა, ვინც განაწყენდა ან დანაშაულის გამო პასუხი მოსთხოვეს, პარტიას ან მოძრაობას აყალბებს, აქეთ გვაშინებს, არ ვიცი ვისი იმედი აქვს ბატონ მამუკა ხაზარაძეს, პოლიტიკური გამოცდილების, ხალხის სიყვარულის (ბანკიდან ახსოვთ) თუ ხალხის გაჭირვების, რომელიც მთელი ამ დემოკრატიული ყვავილობის ჟამს დასაყრდენი). ჩვენ გიშველით! მაგრამ ამ ხრიკებს მიხვდა ხალხი და აღარავის არ სჯერა - არც დემოკრატიის და არც ვითომ დემოკრატების-არჩევნებზე ნახვევრიც არ მიდის, სადაა აქ დემოკრატია და ხალხის ხელისუფლება, ასეთი პარადოქსებითაა სავსე ჩვენი ცხოვრება, მთავარია ფასადი-დასავლურობა-დემოკრატია. ფარდის მიღმა რატომ გიჭირთ გახედვა, ფარდის მიღმა ცრემლიანი საქართველოა, იქნებ ახლა მაინც გააღვიძოს ერი და ბერი მისი ქვითინის ხმამ. დღეს მწავავედ დგას ამომრჩევლისა და არჩეულის თანამშრომლობის, პასუხისმგებლობის პრობლემა. არჩეულს არ ახსოვს ამომრჩეველი და არც მათი დახმარება, არ ხვდება ამომრჩევლებს, აკეთებს თავის საქმეს, მით უფრო იოლია ოპოზიციაში ყოფნა, ხელისუფლების გინება და ძირს - ძირს ძახილი. უსაქმურად არიან პარლამენტში თუ საკრებულოში და ეძლევათ ხელფასი და პრემიები, ეს ხომ პარადოქსია, უბედურება ისაა, რომ არაა ასეთების გაწვევის მექანიზმი და 4-5 წლიანი ვადაში გარანტირებული არიან და არც არაფერი ემუქრებათ, უფრო დიდი უბედურება ისაა, რომ ეს ე.წ. არჩეული პარტია რეჟიმად რომ გექცევა, განგრევს-გძარცვავს ყველა პარამეტრით და ვერ იცილებ, ვინც ხმას აძლევს ამ ბოროტ ძალას იგი დამნაშავეა ქართველი ერის წინაშე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ,,ოცნება" კარგიამან დაინდო ეს ძალა და ვინ იცის კიდევ რას დაატრიალებენ. ამიტომ ხალხის გადასაწყვეტია ეს პრობლემა, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, არჩევანი ჩვენზეა!

ბოლოს და ბოლოს უნდა მიხვდეთ რომ პიროვნებები წყვეტენ ქვეყნის ბედს, რათა იგი სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს და შეიქმნას ისეთი სისტემა,-სასამართლო-სახელმწიფო, საკანონმდებლო, საპოლიციო და ა. შ. ხალხს ნამდვილი თავისუფლება და კეთილდღეობა მოუტანონ. სხვაზე - არც რუსეთზე, არც ამერიკაზე დამოკიდებულება არაა გამოსავალი, მაშ რას ნიშნავს დამოუკიდებლობა, თვითმყობადობა, ქვეყნის პატრონობა.

სამწუხაროა, რომ დემოკრატიას, ევროპას ამოფარებულები დემოკრატიას აზარებენ ხალხს, ქვეყანას ანგრევენ, განა დემოკრატიაა ის რომ ამომრჩევლის 60%-ი არ მივა არჩევნებზე. ეკონომიკა ყვავის?! როცა უმუშევარია 80%-ი და ტოვებს ქვეყანას განა ევროპელობაა-გარყვნილების პროპაგანდა და ნარკომანია? სავალალო მდგომარეობაა სოფლად, დაინგრა სოფლის მეურნეობა, ჩვენ ხომ გეორგიანელები ვართ. ქვეყანაში ასობით ჩაის გადამამუშავებელი ქარხანა იყო და თურქეთში ჩაის საკრეფად მიდის ათასობით ქართველი,რამდენი ასეთი შედარებაა საჭირო ყველა სფეროში, რათა მივხვდეთ რა დღე აყარეს ქვეყანას- სსრკ არ ვარგოდა, მაგრამ ერთი ნაბიჯით ხომ უნდა წახვიდე წინ, მაწანწალა ბავშვებით გაივსიო ქვეყანა, დედა ახალშობილს სანაგვეში აგდებს-კიდევ რა უნდა გვჭირდეს უარესი, სანამ ვიტრაბახებთ დემოკრატიით, მაჟორიტარი მოვაცილეთ არჩევნებს და ავშენდებით, ვინ იცის ამ პარტიულ სიაში კიდევ მერამდენედ მოხვდება უსაქმური, აქამდე დემოკრატია ქუჩიდან მოდიოდა რევოლუციებით, მიტინგებით ხალხის გაჭირვებაზე იდგა ყველა ხელისუფლება, ჩვენ-გიშველით! ეს დემოკრატიული ფარსი უნდა დამთავრდეს, ქუჩის დემოკრატია უნდა დამთავრდეს, საქართველოში უნდა გაერთიანდნენ პარტიული ძალები, რომლებიც არ დაემორჩილებიან რუსებს და არც ამერიკელებს, არ შეასრულებენ მათ მითითებებს და დავალებებს, არამედ გააკეთებენ ქართულ ეროვნულ საქმეს, გათითოკაცებამ, ამბიციებმაერთი პარტია შეძლებს უმრავლესობით ხელისუფლებაში მოსვლას, მთავრობის დაკომპლექტებას-პოლიტიკური ძალების დაქსასვა, დანაწილება და დაკარგვა გამოიწვია, არადა, 200 პარტიაა საქართველოში (ქვეყანა კი ერთია საიდან ამდენი პრეზიდენტის, პრემიერის თუ მინისტრების სკამები, რაღაც არ გავს ეს ქვეყანის სიყვარულს, თავგანწირვას სამშობლოსათვის, არადა გარეშე ძალებისაგან მხარდაჭერილმა არაეროვნულმა პარტიებმა რა უქნეს ქვეყანას, 30 ვერცხლად გაყიდეს, ახლა რომ მტერი გამოჩნდეს წითელ ხიდთან ვერავინ მიასწრებს მათ, ისე როგორ წახდა საქართველო, რომ არ შემორჩა ღირსეული ადამიანები, რომლებიც ღირსებას დაუბრუნებენ ქვეყანას, გზას გაუხსნიან თვითშემოქმედებას და თვითმმართველობას. რატომ მიგვვიწყდა დიდი ილიას ერთიანი ნიადაგის თეორია, -ეროვნულ ძალების საერთო მოქმედება ქვეყნის ძლიერებისა და აყვავებისათვის, სამწუხაროდ, მთელი ჩვენი დემოკრატიული არჩევანი ხელისუფლების კეთილდღეობას ვერ გასცდა, წინ მივიწევთ!

თქვენ კი მიიწევთ წინ, ბატონებო, მაგრამ ხალხს არ ეტყობა დემოკრატიის სიკეთე, თავისუფლების ხიბლი, ეს თქვენთვის არის თავისუფლება მიმზიდველი ხალხის უბედურების ხარჯზე, რითაც ივსება ბიუჯეტი, ყველაფერი ძვირდება, ვიღაც გამალებით მუშაობს, რათა ამერიკელებს ქართველები შეაზარონ და ქართველებს ამერიკელები.ისიც ითქვა, რომ კრამერმა რუსული საქმე გააკეთა, რომ ნატოში აფხაზეთ-ოსეთის გარეშე შესვლაც რუსული გეგმაა, არადა რაში გვჭირდება ნატო თუ ვერ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს. ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ერთმანეთში აირია კერძო, სახელმწიფო თუ ინვესტორთა ინტერესები, ეჭვი ჩნდება- რუსებს ვუშვებთ თუ ამერიკელებს, სხვისი საკუთრება უნდა იყოს ეს სტრატეგიული ობიექტი, თუ თავის დასაცავად გვჭირდება, არც ფოთის პორტი იყო ჩვენი საკუთრება, მაგრამ დაბომბვა არ დაუკლიათ რუსებს 2008 წელს. მოკლედ, ყველაფერი ხომ არ უნდა ვაქციოთ დიდი ქვეყნების დაპირისპირების ადგილად ან გვეყოფა ამდენი შეცდომები, რომლებიც არასოდეს არ გამოსწორდება. ბიზნესმენმა რატომ უნდა იხეიროს ქვეყნის სიმდიდრით, მიწით, წყლით თუ მთებით. ისე მიგვყავს საქმე თითქოს ხალხი არ არსებობდეს ქვეყანაზე, თითქოსდა, ამათია ქვეყნის ქონება-მაგ: ფოთის წისქვილქარხანა, თუ გემთსაშენი პიერ კარდენის კოსტუმის ფასად იყიდა ვიღაცამ. საეჭვოდ გაიყიდა პორტიც, მუშა-მოსამსახურეები სახლში გარეკეს, მერე ტაძრები აუშენეს, ილოცთ ცოცხლები რომ ხართ,მაგრამ ამასაც იმადლებიან და არავინ იცის კიდევ როდის დაგაყრიან ბომბებს თუ ხალხი გონს არ მოეგო და თავისივე ძალა მისი და ქვეყნის სასარგებლოდ არ გამოიყენა.

გვეყოფა ამდენი შეცდომები, თანაც შეცდომები-რომლებიც არასოდეს გამოსწორდება.

ზ. ბარალვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ.

გიორგი გახარია: ,,რა თქმა უნდა თუ შესაბამისი სამსახურები მონიტორინგის პირობებში გვეტყვიან, რომ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მმართველი კომპანია ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ჩვენ მივიღებთ იმ ზომებს და გადავდგამთ იმ ნაბიჯებს, რის საშუალებასაც გვაძლევს საინვესტიციო ხელშეკრულება და არავინ არავის არაფერს არ გაუგრძელებს ქვეყნის ეკონომიკის ინტერესების გაუთვალისწინებლად და თუნდაც ფოთის ინტერესების გაუთვალისწინებლად, მე ვგულისხმობ ქალაქს პირველ რიგში!".

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად ფუძნდება ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზენტაცია

მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტი, რომელშიც ერთი მილიარდი ევრო დაიხარჯება. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტი იხსნება.

2020 წლის სექტემბრიდან ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტების პირველ ნაკადს მიიღებს. ფონდ „ქართუს" მიერ დაფინანსებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებზე იქნება მორგებული.

მართვის და სწავლის მოდელი მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შედეგად მომზადდა. მათთან ერთად შემუშავდება სასწავლო პროგრამებიც.

უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საგანმანათლებლო სივრცე პირველ ეტაპზე სამ სასწავლო კორპუსს, სამ სტუდენტურ საცხოვრებელს, ლექტორების საცხოვრებელს და სასადილოს მოიცავს. გეგმაშია ლაბორატორიების და საუნივერსიტეტო კლინიკის მოწყობაც.

უნივერსიტეტში ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად იმუშავებენ უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტებიც.

ლამაზდება სამეგრელოს მოედანი

ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გაზონების განახლება-კეთილნმოწყობა მიმდინარეობს, ამჟამად გამსახურდიას ქუჩაზე სამუშაოებს აწარმოებს საამშენებლო კომპანია ,,ტოტალ+" -დირექტორი **ნუგზარ ბარამია**.

გაზონების განახლება ასევე მიმდინარეობს სამეგრელოს მოედანზე, ცოტნე დადიანის ძეგლის წინამდებარე ტერიტორიაზე. აქაურობამ იერ-სახე იცვალა, თუმცა, არის პრობლემებიც, არხი ვერ ატარებს წყალს, შესაბამისმა სამსახურხა უნდა უნდა უზრუნველყოს დასუფთავების სამუშაოების ჩატარება.

ფოთში მდინარე კაპარჭას გაწმენდის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ფოთში მდინარე კაპარჭას გაწმენდის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტი მდინარის 3 700 მეტრიანი ზოლის გაწმენდასა და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას ითვალისწინებს.

მდინარე კაპარჭას და პალიასტომის ტბის გაწმენდითი სამუშაოები საბჭოთა პერიოდის შემდეგ არ განხორციელებულა. ბუნებრივმა პროცესებმა მტკნარი წყლების კლება და ტბის ნაწილის დეგრადირება გამოიწვია. მომრავლდა ქვეწარმავლები, კოღოები და სხვა მწერები, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნიდა. არხებისა და მდინარის ძირზე დაწყებულია მკვდარი მცენარეული მასის და პირველ რიგში, ტორფის აჭრილი ფენების წყალში გახრწნა, რამაც მავნე ბიოლოგიური ელემენტების დიდი რაოდენობით წარმოქმნა და იმავე ნივთიერებებით პალიასტომის შენაკადების დაბინძურება გამოიწვია.

აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს როგორც მდინარე კაპარჭას წყალგამტარიანობისა და შესაბამისად პალიასტომის ტბის ეკოსისტემის აღდგენას, თევზის ენდემური სახეობების შენარჩუნებას, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარებას.

პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარია, იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ინიციატივით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ხორციელდება. ეს არის პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენის I ეტაპის სამუშაო, რომლის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი გახდება პალიასტომის ტბის პრობლემების უფრო ეფექტური გადაჭრა.

ფოთში მდინარე რიონის არხის გაწმენდის სამუშაოები განხორციელდება

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია, ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილეები -კონსტანტინე თოფურია და პაატა ლაგვილავა შპს ,,საქართველოს მელიორაციის" ექსპლუატაციის დირექტორს გიორგი ხუბუასშეხვდნენ, სადაც მელიორაციის კუთხით ფოთში არსებულ საჭიროებებზე და ერთობლივად განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს, რის შემდეგაც პრობლემური ადგილები დაათვალიერეს. საქართველოს მელიორაცია ფოთში უმნიშვნელოვანეს პროექტს ახორციელებს. 60 წლის შემდეგ, მდინარე რიონის ქალაქში გამავალი არხი დანალექი შლამისა და ნატანისაგან გაიწმინდება. გაიწმინდება და აღდგება ნაპირდამცავი ჯებირები. არხი გაატარებს 400 კუბურ მეტრს წამში, რაც მნიშვნელოვანია რიონის ჰიდრო დინამიური რეჟიმის აღდგენის, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სტაბილიზაციის და წყალდიდობის პრევენციის მიზნით. ქალაქ ფოთში გამავალი მდინარე რიონის არხის რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის შედგენაზე ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს, რის შემდეგაც საქართველოს მელიორაცია სამუშაოების შესრულებაზე ტენდერს გამოაცხადებს. პროექტის ფარგლებში, ე.წ. მეშვიდე კილომეტრიდან ზღვამდე რიონის ფსკერის გაწმენდა მოხდება, ასევე ზღვის შესართავთან რიონის, ამჟამად მოსილული მარცხენა შტოს გაწმენდითი სამუშაოებიც განხორციელდება. პირველ ეტაპზე რიონის ტომოგრაფიული გადაღება მოხდება. იმის დასადგენად, თუ სად არის დალექილი ტერიტორიები და რა მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი.

სანიჩბოსნო სკოლის ტერიტორიაზე, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების სანიჩბოსნო ბაზა აშენდება

ფოთში, მდინარე კაპარჭას მიმდებარედ, ბესიკის ქუჩაზე არსებული სანიჩბოსნო სკოლის ტერიტორიაზე, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების სანიჩბოსნო ბაზა აშენდება, საცურაო აუზითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

შენობის გარე და შიდა სივრცეები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული და ფოთის მერი საჯარო სკოლებს ესტუმრნენ

საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. სწავლა განახლდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში -ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ფოთის მერიიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია, ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია და მერის მოადგილეები ფოთის საჯარო სკოლებს ესტუმრნენ და მოსწავლეებს და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

"ძვირფასო პედაგოგებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო, მშობლებო გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ეს არის სიახლის, ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების მიღების საუკეთესო პერიოდი და გისურვებთ მაქსიმალურად გამოიყენოთ ეს შესაძლებლობა.

მსურს განსაკუთრებით მივულოცო ეს დღე ჩვენს პირველკლასელებსა და პირველკურსელებს – მათთვის ხომ დღევანდელი დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია.

სწორედ განათლებულ ახალგაზრდებს შეუძლიათ შექმნან ქვეყნის ღირსეული მომავალი. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ხელი უნდა შევუწყოთ მათ, შევუქმნათ შესაფერისი პირობები და გარემო, რათა შეძლონ ხარისხიანი განათლების მიღება.

გისურვებთ, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს საინტერესო და წარმატებებით გამორჩეული", -განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ.

ახალ სასწავლო წელს ფოთის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლა განახლებული ინფასტრუქტურით შეხვდა. სკოლების სარეაბილიტაციოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 454 502 ლარი გამოიყო.

პროექტის ფარგლებში საჯარო სკოლებში სახურავის კაპიტალური რემონტი, სველი წერტილების მშენებლობა, ეზოს კეთილმოწყობა და სხვა აუცილებელი სამუშაოები ჩატარდა.

წელს ფოთში 500-მდე პირველკლასელია, რომლებსაც პორტაბელურ კომპიუტერებთან ერთად სახელმძღვანელოების კომპლექტი, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" გადაეცათ, რომელიც განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სკოლებში კვლავ დაბრუნდა.

საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში საქმისწარმოების ახალ ელექტრონულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით პრეზენტაცია გაიმართა. მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული მოდულები თანამშრომლებს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს ანალიტიკოსმა ირმა სიხარულიძემ გააცნო. ახალი მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე მორგებული სისტემა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებას, საქმისწარმოების გამჭვირვალე პროცესებს, ელექტრონულ სერვისებზე ონლაინ წვდომის შესაძლებლობას და შემცირებულ ბიუროკრატიას. რეფორმის ფარგლებში დასანერგი ელექტრონული მოდულები ერთიანდება სამ ძირითად პლატფორმაში: მს.გოვ.გე - ონლაინ განცხადებების მართვის სისტემა მმ.გოვ.გე - ერთიანი ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა მაპს.გოვ.გე - გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემა პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობით ხორციელდება

სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა შემაჯამებელი გამოფენა

საგამოფენო დარბაზში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სასწავლებლის, ხის მხატვრული დამუშავების ფაკულტეტის მოსწავლეთა შემაჯამებელი გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული ხალხური საცხოვრისის დგამ-ავეჯი და ხის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. შემაჯამებელი გამოფენა ქალაქ ფოთის მერის მოადგილე პაატა ლაგვილავამ დაათვალიერა. „სამხატვრო სასწავლებელი ძალიან დიდ საქმეს აკეთებს, სულიერად და შემოქმედებითად ზრდის ჩვენს თაობებს. მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ მხარდაჭერა, გვერდში დგომა და გისურვოთ წარმატებები,"- განაცხადა მერის მოადგილემ. გამოფენაზე ასევე გამოიფინა სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგების - ბადრი ბახტაძისა და ჯანო დანელიას მიერ შესრულებული მოზაიკური პანო „წმინდა გიორგი".

ჩვენი სკოლის მონატრება

„ვარდისფერი ზეიმი"

გვიყვარს ჩვენი მშობლიური ქალაქი, ჩვენი ფოთი, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ და ახალგაზრდობა გავატარეთ. მე და ჩემმა მეგობრებმა ამ ქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული მეორე სასუალო სკოლა დავამთავრეთ. მერე სხვადასხვა მხარეს გავიფანტეთ, ცხოვრების სხვადასხვა ფერხულში ჩავებით და 25 წლის შემდეგ მონატრების ძლიერმა სურვილმა შეგვყარა ერთად. 1984 წელს სკოლის დამთავრების 25 წლისთავი ვიზეიმეთ. ახალგაზრდები ვიყავით, სიამ-სიტკბოთი აღსავსენი. ჩვენი დირექტორი პორფილე ბარამიძე, დამრიგებელი ოთარ ვაშაკიძე, პირველი მასწავლებელი ნინო მიქაუტაძე მოვიწვიეთ და მართლაც დაუვიწყარი დრო გავატარეთ. შემდეგაც გვინდოდა 30 თუ 35 და ა. შ. თარიღების აღნიშვნა, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგანაც ის წლები მძიმე პოლიტიკური თემებით იყო დატვირთული და თვით სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვია ჩემი სამშობლო, ჩვენ, ცხადია, სასიხარულო არა გვქონდა რა, თუმცა მოვიდა 2009 წელი, ნახევარი საუკუნე გასულა სკოლასთან დამშვიდობებისა და როოგორ არ გვეზეიმა. ჰოდა, ამ ზეიმის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორები იყვნენ მარლენ ფაჩულია, აწგანსვენებული. კუსა ხუნწარია და ზაურ ლაბარტყავა, სხვები კი ხელს ვუწყობდით მოვლენების განვითარებაში. გვიხაროდა, გვინდოდა: ერთი დღით მაინც ვყოფილიყავით 17-18 წლისგოგობიჭები. თუ ახალგაზრდობაში ვარდისფერი სათვალეებით ვუცქერდით მომავალს, ახლაც გვსურდა ერთი დღით მაინც ვარდისფრად გვენახა ჩვენი განვლილი წლები და გზები, და ამიტომაც ამ ზეიმს „ვარდისფერი ზეიმი" დავარქვით. აქ გამოვავლინეთ ჩვენი ნიჭი სხვადასხვა ნომინაციაში, თუ შეიძლება ითქვას, დიდხანს გაგვყვა ეს სიამოვნება და სურვილიც გაჩნდა მოვიგონოთ, ერთმანეთს ვანახოთ ჩვენი ბავშვობა, ჩვენ ... ეს ... ეს ... ეს

სურვილები ქვეყნის გეოსტრატეგიული მდგომარეობის გამო

მიმართვა საქართველოს პრემიერ მინისტრს გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,

ჩვენ მივესალმებით საქართველოს პარლამენტის მიერ პრემიერ მინისტრად თქვენს დამტკიცებას. ჩვენი ღრმა რწმენით უკანსკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებში ოპტიმალური მოქმედებით შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან საქართველო რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოიყვანეთ და იმედი გვაქვს თქვენი სამთოვრობო პროგრამით რომელსაც მთლიანად ვიწონებთ დაიწყება საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისათვის საფუძვლის მომზადება.

ჩვენ ვნახეთ თვენს პროგრამაში მიმართვა საქართველოს თითოეული მოქალაქის მიმართ ჩაერთონ ქვეყნის განვითარებაში რომელმაც მოგვცა სტიმული მოგმართოთ ამ წერილით.ამასთან ერთად თავს მივცემთ უფლებას გავაკეთო ორი შენიშვნა:

I. ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის პირობებში თქვენ მიგაჩნიათ,რომ მისი მშენებლობა აუცილებელია ქვეყნისთვის. მე გთავაზობთ რომ არ დავკარგოთ ძვირფასი დრო და ვიზრუნოთ ფოთის (ფაზისის) პორტის რეკონსტრუქციისათვის, რომელიც ოდითგანვე იყო ჩართული „აბრეშუმის გზაში“ და ფოთის პორტის პოტენციალის სრული გამოყენების პირობებში აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე აშენდეს ანაკლიის პორტი.

II. პროგრამაში აქცენტი გაკეთებულია ბაქო-თბილისი- ყარსის რკინიგზაზე და ჩვენი წინადადება ამ საკითხში მდგომარეობს იმაში, რომ ეს გაკეთდეს ჩვენი საპროექტო წინადადებით, რომელიც გაეგზავნა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზინდეტს,საქართველოს მთვარობას,ფოთის მერიას და გაგეგზავნათ თქვენ. იქ წარმოჩენილია ჩვენი ხედვა როგორ უნდა მოიპოვოს საქართველომ პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი.

ამასთან ერთად ვაცხადებთ,რომ ჩვენ ადრე საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს მივმართეთ ჩვენი წინადადებით მალთაყვის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც რეაგირების გარეშე დარჩა და უარყოფითი შედეგიც სახეზეა და საქვეყნოდ არის ცნობილი.

გავრცელებული ინფორმაციით უკანსკნელ დღეებში ფოთის მერიაში ჩატარდა თათბირი ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ხელმძღვანელობის მონაწილეობით, სადაც განიხილებოდა ფოთის ღრმაწყლიანი ნავმისადგომის მშენებლობის საკითხი, თავისუფალ ინდუსრიულ ზონაში ჩინური კომპანია "CEFC" ის მიერ ინვისტიციების მოზიდვით.

ჩვენ აღნიშნულ ჩინურ კომპანიასთან 2017 წლიდან გაგვაჩნია ურთიერთობა მიწერ-მოწერის სახით ნავსადგურის თემაზე და ამის თაობაზე ინფორმირებული იყო ხელისუფლება ყველა დონეზე.

თუ კი ეს თათბირი არიყო მორიგი აფიორა, როგორც ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ჩატარებული მრავალი თათბირი, რატომ ჩატარდა ის არატრანსპარენტულ გარემოში? ამ თათბირის შესახებ ჩვენთისაც კი არაფერი იყო ცნობილი, ხომ არ მივიღებთ ფოთში ანაკლია-2?

ჩვენი ადრინდელი პროგნოზი ანაკლიის პორტთან მიმართებაში კომპანია“ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“ მთლიანად გამართლდა. დღეს ჩენი სურვილია რომ ურთიერთობა ჩინურ კომპანია „CEFC"-თან იყოს უფრო ტრანსპარენტული,რომ საქართველოს ხელისუფლება მომავალში არ დადგეს მორიგი აფიორის წინაშე.

ღრმა პატივისცემით საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი:

/ჯემალ გერსამია/

P.S.

გთხოვთ ღრმად ჩაწვდეთ ჩვენი წერილის შინაარს უახლოეს პრეიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე.

ჩვენი მხრიდან მზად ვართ საჭიროების შემთხვევაში წერილში მოცემულ იფორმაციასთან დაკავშირებით გავაკეთოთ ამომწურავი განმარტება.

ფოთის შუქურა 155 წლისაა

ფოთის შუქურა ერთ-ერთი იმ შენობათაგანია, რომელიც მე-19 საუკუნიდან ამშვენებს ჩვენს ზღვისპირა ქალაქს. მან უკვე თავისი არსებობის მე-3 საუკუნეში შეაბიჯა-2008 წელს 144 წელი შეუსრულდა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით-სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ", საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად. ფოთში საზღვაო ნავსადგურის შუქურა, შუქნიშნები და აკვატორია განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ნუსხაში შევიდა, ანუ კანონის მიხედვით აღნიშნული სახელმწიფო ქონება პრივატიზებას არ ექვემდებარება.

ფოთის ნავსადგური, რომლის მშენებლობაც 1880 წელს დასრულდა, იმ უძველესი დროიდან წარმოადგენდა მსხვილი ტვირთბრუნვის პუნქტს და საჭიროებდა სანაპირო შუქურას, რომელიც უზრუნველყოფდა უსაფრთხო ნაოსნობას და ხომალდების შემოსვლას. ფოთის შუქურა წარმოადგენს თუჯის კოშკს, რომელიც 1860 წელს ინგლისში შეუკვეთეს. 1862 წელს ინგლისური ფირმის ,,ესტონ ამოს და შვილების" ინჟინერ მექანიკოსებმა იგი ნაწილ ნაწილ ჩამოასხეს. შუქურას შემადგენელი კონსტრუქციები ლონდონიდან ჯერ ოდესაში, ოდესიდან ბათუმში, შემდეგ კი კომერციული თბომავალით ფოთში ჩამოიტანეს და მისი მონტაჟი 1864 წელს დასრულდა, ფოთის შუქურის მშენებლობისათვის მაშინ 16 ათასი მანეთი დაიხარჯა. ინჟინრები დიდი ხნის განმავლობაში ამოწმებდნენ ასეთი სახით აგებული შუქურის უპირატესობას. თუჯის სექციის მრგვალი შუქურის კოშკი მდებარეობს კლდოვან საფუძველზე და 8 მეტრი სიღრმის საძირკველი გააჩნია. ის 30 მეტრი სიმაღლისაა და 126 ტონას იწონის. მათ შორის მნათობი მთელი აპარატურით 890 კგ-ია. მისი ექსპლუატაციის გამოცდილებამ უჩვენა, ამ ერთი სეხედვით, მსუბუქი კონსტრუქციის სრული გამძლეობა. ათწლეულების განმავლობაში ვერავიტარმა შტორმულმა ღელვამ შუქურაზე ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა. ინჟინრებმა დაკვირვების შედეგად გააკეთეს დასკვნები, რომ ეს არის მტკიცე და გამძლე შენობა. რომლის მშენებლობა გაცილებით უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ქვისაგან აგებულისა. სეისმური თვალსაზრისითაც იგი უფრო გამძლეა და თანაც შესაზლებელია სხვა ადგილზე გადატანა. ეს პრაქტიკული დასკვნები ფართოდ იქნა გამოყენებული შავი ზღვის აუზის სანაპიროს მშენებლობაში. შავი ზღვის შუქურებს შორის ფოთის შუქურა სიმაღლით მეოთხე ადგილზეა.

განვიტარებისა და სრულყოფის მანძილზე შუქურამ დიდი გზა განვლო. მისი ბოლო გადაიარაღება 1967 წელს მოხდა. ამჟამად მასზე დამონტაჟებულია თანამედროვე სინათლის ოპტიკური აპარატი-მბრუნავი ელექტროშუქურა. მოქმედი 8 ბროლის ლინზიანი ოპტიკური აპარატის დიამეტრია 930 მმ. ლინზების საერთო ფართობია 1070 კვ/მმ. ბრუნვის რიცხვი-4 ბრუნვა წუთში. შუქურას მახასიათებელია თეთრი და წითელი სინათლე მონაცვლებით. ნატების პერიოდი -75 წამი. სინათლის ნათების სიშორე -16-17 საზღვაო კვანძი (მილი). განათების სექტორი 259 გრადუსი. სადაც მოთავსებულია ჩართვის ავტომატური აპარატი. რომელიც არეგულირებს სხივთა ფერების მონაცვლეობას. შუქურას მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მასზე განლაგებულია ავარიული მაშუქი. არამბრუნავი შუქურა, რომლის კვების წყაროც ადგილზევე დამონტაჟებული აკუმულატორებია, ნათება-თეთრი ფერი,ნათების სიშორე 8 საზღვაო კვანძი (მილი).

შუქურა ასწლეულების განმავლობაში შეუსვენებლად ემსახურება ფოთის ნავსადგურსა და იქ შემავალ გემებს.

შეკითხვები ფოთის პორტის განვითარებასთან დაკავშირებით

გავეცანით თქვენს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ,,ტენდურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განახლებაზე", რაც წარმოდგენილია ფოთის საზღვაო ნავსადგურის გაფართოების პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურად და რასაც მივესალმებით.

ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კავშირი ანტიკორუბციული და ადამიანების უფლებათა დაცვის, საზოგადოების სახელით 2015 წლის თებერვალში ფოთის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ვესწრებოდით ნავსადგურის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ მსგავს განხილვას, რომლის სავარაუდო განახლება ხდება ამჟამად და მაშინაც გავაკეთეთ მისასალმებელი განცხადება (არსებობს ვიდეო ჩანაწერი) და დავსვით შეკითხვა: ,,,,ერთი წერტილიდან არის თუ არა მწვანე შუქი" შეკითხვას ანგარიშის წარმომადგენელმა პირებმა პასუხი ვერ გასცეს. ეს ხდებოდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის თანდასწრებით ფოთის საზოგადოების წინაშე.

ამჟამად ჩვენი შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში: 2015 წელს წარმოდგენილი განხილვის განახლება ხდება? თუ ეს ასეა, მაშინ მეტი ტრანსპარენტულობისათვის საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს რატომ იყო პროცესი შეფერხებული 6 წლის განმავლობაში და თუ კი 6 წლის განმავლობაში პროცესი იყო შეფერხებული, ახლა რა კეთილსასურველი პირობები შეიქმნა შეფერხებული პროცესის განახლებისათვის?

ამჟამად არის თუა არა ერთი წერტილიდან ანთებული მწვანე შუქი? წრე-ბრუნვას ხომ არ უნდა მოველოდეთ?

ჩვენ ამჯამად ამ შეკითხვით მივმართავთ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ფოთის პენსიონერთა კავშირი ,,ბებერას" სახელით, სადაც გაერთიანებულნი არიან ნავსადგურისა და ქალაქის ვეტერანი ჰიდროტექნიკოსები, იურისტები, და ეკონომისტები. მათი შემადგენლობით უკანასკნელი წლების განმავლობაში ნავსადგურის თემაზე მუშაობს საინიციატივო ჯგუფი. ნავსადგურის ყოფილ მთავარ ინჟინერს ჯემალ გერსამიას სხვადასხვა დროს, მათ შორის მოქმედი ხელისუფლების პირობებში საქართველოს ყველა დონის მმართველობის ორგანოებში წარმოდგენილი აქვს ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და ქალაქის განვითარების საპროექტო წინადადებები საქართველოს საზღვაო კონცეფციის სახით.

აქვე დავამატებ რომ თქვენთან ერთად ჩვენი შეკითხვის ადრესატია ტენდერის მომწოდებლად დაფიქსირებული AMP terminalss.

ჯუმბერ კემულარია
ფოთის პენსიონერთა კავშირი
ბერბერას თავმჯდომარე

P.S. ზემოთ აღნიშნული კონცეფცია ბანერებზე გამოფენილია ზღვის სანაპირო ზოლში თამარ მეფის ქუჩის ბოლოს ესკიზური ნახაზების სახით. (როგორ უნდა განვითარდეს ნავსადგური და ქალაქი) დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია საპროექტო წინადადებების დეტალური განხილვა.

ნაწყვეტები ახალი წიგნიდან

ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს გონივრულად მოწყობის და საზოგადოებრივ პოლიტიკური გარდაქმნების თაობაზე (მეორე ნაწილი)



საზოგადოების კეთილდღეობა შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ ერთდროული დამრავალმხრივი განვითარებით ყველა იმ ელემენტებისა, რომელთაგან შედგება ხალხისცხოვრება (ნიკო ნიკოლაძე)

ქვეყნის ცხოვრებაში ხშირად წამოიჭრება ხოლმე საკითხი, თუ რომელი საქმეებია პრიორიტეტული ერისთვის - საშინაო თუ საგარეო? ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებას, რომ ერისათვის (განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერებისათვის) უფრო პრიორიტეტულია საშინაო პრობლემების მოგვარება, ვინაიდან უმნიშვნელოვანეს საგარეო და ეკონომიკურ საკითხებს მსოფლიოში, სემუელ ჰანთინგტონის თქმით, წყვეტს სულ 5-6 ქვეყანა, დანარჩენებს კი სტატისტების როლი აქვთ განკუთვნილი, მათ შორის - ჩვენც. სწორედ აქედან გამომდინარეობს ნიკოლაძის დასკვნა, რომ "მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლადმოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოსჩვენი გამარჯვებანი, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს შინაგან წესებს არ ავიყვანთ საგარეო დიდებისსიმაღლეზე, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარიინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუგვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს". დამოუკიდებელი საქართველოს ოცწლიანმა ისტორიამ მთლიანად დაადასტურა ნიკოლაძის ეს დებულება - ვერც ერთმა ხელისუფლებამ (გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი) საშინაო პრობლემები სერიოზულად ვერ გადაწყვიტა. ვერც შევარდნაძე და ვერც სააკაშვილი ვერ აცნობიერებდნენ, რომ პატარა ქვეყნის ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალიან მოკრძალებულია და სადღაც კუთხეშია - ამიტომ როცა ქვეყნის შიდა პრობლემებს ვერ აგვარებ და აქცენტი მთლიანად საგარეო პოლიტიკაზე გადაგაქვს, ეს ადრე თუ გვიან უშედეგოდ დამთავრდება, შეიძლება კატასტროფითაც (2008 წლის აგვისტო) (ამაზეა ზედგამოჭრილი ქართული ანდაზა: "ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო"). ის, რომ დიდი ქვეყნები იგნორირებას უკეთებენ მცირერიცხოვან ერებს, ძარცვავენ მათ და ართმევენ ტერიტორიებსა და სიმდიდრეებს, საარსებო რესურსებს, ნიკოლაძემ შესანიშნავად იცოდა და ამაზე ჯერ კიდევ მაშინ აფრთხილებდა ქართველობას: "იმავე მიზეზის ძალით, რომლითაც მე და შენ, ჩემო კარგო მკითხველო, ვერ ვგრძნობთ ჩვენს საკუთარს უსამართლობას, დანაშაულობას და სისაძაგლეს, როცა უმანკო კრავს ან ხბოს ვკლავთ, ან ვაკვლევინებთ, ჩვენის კუჭის გასაძღომად, ევროპელიხალხი - ჩვენთვის ერთობ საჭირია გავიგოთ, გონებაში ჩავიბეჭდოთ და ნიადაგ გვახსოვდეს ეს გარემოება - ევროპელი ხალხიმეთქი, სწორედ იმ თვალით უყურებს ყოველს სხვა უკანჩამორჩენილს, უძლურს და უმეცარ ხალხს, როგორითაც ჩვენ თვითონცხვრის ფარას დავცქერით". მეორეგან კიდევ უფრო მოურიდებლად აღნიშნავდა, რომ თუ სხვის იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ ქვეყნის მომავალს და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ "ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან აღჟირივით (ე.ი. მკვიდრთათვის უფლება მიუნიჭებლად) დაიმონებენ ანდა ინდოჩინეთივით ძარცვას დაიწყებენ" (იგულისხმება დამოუკიდებლობის შემთხვევაში).

იმისათვის, რომ აიცილო მესამეხარისხოვანი ქვეყნის ბედი, ყოველმხრივ გაძლიერებაა საჭირო - ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად, სამხედრო თვალსაზრისითაც კი. გვერდში რომ ამოუდგე ევროპულ ქვეყნებს, იგივე გზა უნდა გაიარო, რაც გაიარეს სხვებმა - ევროპული განათლებისა და მეცნიერების დანერგვა, თავაუღებელი შრომა ("ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპულიმეცნიერება ჩვენ სამაგალითოდ უნდა მიგვაჩნდეს" - წერდა ნიკოლაძე), სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, აზრიანი შრომა, მცირერიცხოვანი ქვეყნებისათვის ამ ყველაფრის გაკეთება გადარჩენის ერთადერთი შანსია: "კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავის ცხოვრება, ბედი და იმედი მარტო საკუთარ შრომაზე და ღონეზე უნდაჰქონდეს დაფუძნებული. მარტო ეს საძირკველია შეურყეველი, მარტო მასზე შენდება მტკიცედ საკუთარი შენაძენიც და სხვისიდანახმარიც".

ამ მიდგომის წყალობით ეძლევა მცირერიცხოვან ქვეყანას არათუ გადარჩენის, არამედ გაძლიერების შანსიც. ამის მაგალითად ნიკოლაძეს მოჰყავდა შვეიცარია და ჰოლანდია: "პატარა ქვეყანაა შვეიცარია (რომელშიც 3 ხალხის ნაშიერი ცხოვრობს - ფრანგები, გერმანელები და იტალიელები და ამავე ენებზე ლაპარაკობს - ვ.შ.), მაგრამ მის ხელყოფას ვერავინ ბედავს. და არა იმიტომ, რომ უძლეველი არმია ჰყავს, არამედ იმად, რომ უძლეველი სული აქვს. გაძლიერებული, გამაგრებული და ჩაქვითკირებული ცოდნით, შრომით, სიმდიდრით, კულტურით. სხვა კი არა ჰყავს მაგალითად დასახული, თავად არის სხვისი მაგალითი და ნიმუში. ამიტომ ძლიერი და ხარბი სახელმწიფოებიც კი მორიდებით შესქერიან, ვერაფერს უბედავენ". ჰოლანდიელები კი დაჭაობებული ზღვის ნაპირას მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, მიწა არ ჰყოფნიდათ. შრომაც ძნელი იყო და არსებობაც, მაგრამ მათ მოახერხეს ამ მდგომარეობისაგან თავის დაღწევა.

ვაჟა შუბითიძე

გაგრძელება იქნება

ყველა გზა ბაზართან მიდის

ნოდარ კორსანტია-ბიზნესმენი და ქველმოქმედია

ბაზარი ყოველთვის იყო სავაჭრო ცენტრი, მას ხან საკოლმეურნეო, ხან აგრალური ბაზარი ერქვა, თუმცა სამრეწველო საქონელიც იყიდებოდა. დღეს მოთხოვნები გაიზარდა და აქ მოსულ კაცს ყველა სახის პროდუქციას თავაზობენ-მწვანილიდან დაწყებული ხეთის საღებავებით დამთავრებული.

ბაზრის პრობლემა ყოველთვის იყო კანალიზაციის სისტემა, გზა და ძველი ნაგებობა, ამჟამად აქაურობა ნამდვილად შეიცვალა, ყველა პარამეტრით, რაც ამ დიდ საქმეს ხელი მოკიდა ცნობილმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა ნოდარ კორსანტიამ.

უმოკლეს დროში აშენდა დიდი, ორსართულიანი ნაგებობა, თანამედროვე ინტერიერით, სავაჭრო ობიექტებით, მომხმარებელთა კმაყოფილებას იწვევს ქვედა სართულზე განთავსებული ხილბოსტნეულის, სასურსათო პროდუქტების მაღაზიები აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინათ აქ გაიხსნა თანამედროვე სასურსათო უნივერსამი-საყოფაცხოვრებო მაღაზია, არჩევანი ძალიან დიდია, თავად უნდა ნახოთ, ფასებიც მისაღებია და მიმზიდველი, მომსახურე პერსონალი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.

ბატონ ნოდარს განსაკუთრებით დიდი მადლობა ეკუთვნის გაუალი გზის მოწესრიგებისთვის- ბეტონის საფარი დაიგო რიონის სანაპიროზე, დასუფთავება გამწვანებაზეც იზრუნა, ასობით ნაძვის ხე დარგეს. მოკლედ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩნეული და მზრუნველი პატრონი ყავს.

ნაციონალების რეჟიმმა არც ნოდარ კორსანტია დაინდო და ხელშეწყობის მაგივრად აუქციონზე გაიტანა ბაზარი, და დიდი ნერვიულობის და წლების შემდეგ ძლივს დაიბრუნა. მიუხედავად მძიმე სიტუაციისა, მას არასდროს შეუწყვეტია დახმარება შეჭირვებული ადამიანებისადმი, ამიტომაც ემადლიერებიან მას ფოთელები, ავადმყოფი პატარები და მათი მშობლები, სპორტსმენები, პენსიონრები, რიგითი მოქალაქეები, აღსანიშნავია, რომ როცა ბევრმა თავი აარიდა ფეხბურთელთა გასაჭირს, იგი გვერდში დაუდგა ფოთის ,,კოლხეთს" მძიმე ჟამს, ასევე ფინანსურად დაეხმარა ტაიკვანდოს სპორტსმენებს, რომელთაც ღირსეულად იასპარეზეს. ბატონი ნოდარი უყურადღებოდ არ ტოვებს ხელოვნების დარგის მუშაკებს- მომღერლებს-მსახიობებს. როცა პატარა სპორტსმენებს აფინანსებს და ვიღაცას უთქვამს, ამათ რად უნდა დახმარებაო, ესენია ჩვენი ხვალინდელი დღეო, თორემ მე და შენ წამსვლელი ვართ, თანაც ერთი შემთხვევაც გაიხსენა მოსკოვში ყოფნისას ახლობლის ბავშვს , რომელიც ფეხბურთის სკოლაში დადიოდა და რომლის ოჯახს ძალიან უჭირდა, ყოველნაირად დაეხმარა და ეს ბიჭი დღეს მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელია.

ბატონი ნოდარი ბაზრის ტერიტორიაზე კიდევ ბევრი სიახლის გაკეთებას აპირებს,ახალგაზრდებიც დასაქმდება და ფოთელი მომხმარებელიც კმაყოფილი იქნება.

ღმერთმა უმრავლოს ქვეყანას ასეთი საქმიანი, ინიციატივიანი და სხვისი გაჭირვების გულთან მიმტანი დიდი კაცები!



სამადლობელი

ზვიად ჩხარტიშვილს

საბედნიეროდ ბევრს ესმის მედიის მნიშვნელობა, ბევრია კარგი მკითხველი, ეს დიდი სტიმულია ჩვენთვის, დღეს განსაკუთრებით უჭირს რეგიონულ პრესას,- არ არის გასაღების ბაზარი, უჭირს ადამიანებს, გაძვირდა მომსახურება, მასალებიც ძვირდება, ტექნიკაც დიდხანს ვერ ძლებს. ასეთ დროს ვიღაცას გაახსენდები, დახმარების ხელს გიწვდის სრულიად უანგაროდ, როგორც ერთი რიგითი მკითხველი. ცხადია, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს-ჩვენ ვჭირდებით ქალაქს. ასეთ კეთილ ადამიანთა შორისაა, ჩვენი გაზეთის დიდი მეგობრის, ცნობილი მწერლის და პუბლიცისტის რეზო ჩხარტიშვილის ვაჟი-ზვიად ჩხარტიშვილი. იგი ფოთის ნავსადგურში მუშაობს, წარმატებული ახალგაზრდაა, თავის საქმის პროფესიონალი. მან რედაქციას საჩუქრად გადასცა უახლესი ტექნიკა და სამომავლოდაც დაგვპირდა დახმარებას.

გაზეთის რედაქცია მადლობას უხდის მას პრესის საჭიროებისადმი ასეთი გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

ვუსურვებთ წარმატებებს ქვეყნის სამსახურში, პირად ცხოვრებაში.

იმედია კიდევ გამოჩნდებიან ასეთი ქველმოქმედი ადამიანები, ბიზნესმენები და დაგვეხმარებიან, რათა უკეთ ვემსახუროთ ქალაქს და უფრო საინტერესო გავხადოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია

ნიკო ნიკოლაძის მეორე საშუალო სკოლის მეათე მეორე კლასის 1969 წლის კურსდამთავრებულები

ნიკო ნიკოლაძის მეორე საშუალო სკოლის მეათე მეორე კლასის 1969 წლის კურსდამთავრებულები 50 წლის შემდეგ პირველად შეიკრიბნენ ამ საიუბილეო სდამოს და სკოლაში ერთად გატარებული საუკეთესო წლები გაიხსენეს.

რა თქმა უნდა შეხვედრა აღმოჩნდა მეტად ემოციური და ამაღელვებელი. შეხვედრას მოჰყვა დიდი მხიარულებაც და ნოსტალგიაც. შეკრებილებმა მოიგონეს წასული მეგობრები და პედაგოგები. შეკრებილთ ამ საიუბილეო თარიღს თემურ მეტაქსამ მიუძღვნა ლექსი 50+10

50+10

ნახევარი საუკუნე,
ერთმანეთის გარეშე,
ბოლო ზარმა გზა გაგვიხსნა
ცხოვრების ასპარეზზე.
ის დროც დადგა სანატრელი
ერთმანეთის მნახველი
სიმხნევის კარს მიღწეული
გულით ახალგაზრდულნი.
მინდა ყველას მოგეფეროთ,
გავიხსენოთ ჩვენი კლასი,
ღლე პირველი სექტემბრისა,
გაგითენდეთ კიდევ ასი.

სექტემბერი,2019

ნაპო თოდუა
ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

შეზღუდულია

კაცი მეკრი რამით მჯერა შეზღუდულია,
უცაქცომით მოსაუმრეს, აპაციო რთულია,
ცაქცი უნდა შეუცვალო რომ მოულმეს გულია,
ასე უნდა დაამყარო შენ სიმშვიდე სრულია.

უმადური

მადლობას ვერ ათქმევინებ უმადურს და წუნიას,
კიდევ კარგი მეკრი არ ყავს ამ დალოცვილ დუნიას,
ავიცანოთ,არ ავენთოთ,სხვა გზა მაინც არ გვრჩება,
ზოგჯერ მორალის კითხვა უშედეგოდ არ რჩება!

უცხო სამყაროს საოცრებები

წითელი პლანეტა-მარსი

სამყაროში ყველაფერი, მიკროორგანიზმებით დაწყებული და უზარმაზარი ციური სხეულებით თუ მაკროკოსმოსით დამთავრებული იბადება, ვითარდება და კვდება.

იყო დრო, როცა დედამიწა არ არსებობდა. იგი დაახლოებით 4, 5 მილიარდი წლის წინ შეიქმნა მზესთან და მზის სისტემასთან ერთად ვარსკვლავური მტვრისგან.

გლობალური დათბობა, ასტეროიდების შემოჭრა, ცოცხალი ორგანიზმებისათვის სახიფათო მილიონობით მიკრობის ზრდა, ბირთვული რეაქტორების აფეთქება და ბოლოს, რაც შორეულია, მაგრამ გარდაუვალი – მილიონობით წლის კაშკაშა ნათების შემდეგ მზის საწვავი იწურება და ის არსებობას წყვეტს.

როგორ შეიძლება საფრთხიდან თავის დაღწევა და სიცოცხლის გადარჩენა? მეცნიერები გამოსავალს ჩვენსავე გალაქტიკაში, კერძოდ მზის სისტემაში, დედამიწის ასლის შექმნაში ხედავენ. ამისათვის უნდა შეირჩეს ისეთი პლანეტა, რომელიც თავისი თვისებებით რამდენადმე უახლოვდება დედამიწას.

ბოლო მონაცემებით მარსზე აღმოჩენილია სილიციუმი, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ აქ ოდესღაც თბილი წყლები არსებობდა. ხოლო ლავამ შემოინახა პლანეტის ირგვლივ არსებული მაგნიტური ველის კვალი. აგრეთვე, მარსიდან ჩამოვარდნილ მეტეორიტში მეცნიერებმა აღმოაჩინეს ბაქტერია, რომელიც ანტარქტიდაშიც არსებობს.

დასრულდა NASA-ს 6 წლიანი მეცნიერული კვლევა იმის შესახებ, იყო თუ არა ე.წ. წითელ პლანეტაზე წყალი. საბოლოოდ დაადგინა, რომ პლანეტა მარსზე წყალი ნამდვილადაა.

მარსის კოლონიზაციის საკითხი წლიდან წლამდე უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება. მილიარდერი და SpaceX-ის დამფუძნებელი ელონ მასკი აცხადებს, წითელ პლანეტაზე ცხოვრების შესაძლებლობა მხოლოდ მდიდრებს არ ექნებათ. იგი უკვე დიდი ხანია მუშაობს მარსზე ადამიანების დასახლების გეგმაზე.

მასკის განცხადებით, მარსზე გამგზავრების ბილეთი რამდენიმე ასი ათასი დოლარი ედირება, რაც საკმაოდ იაფია კოსმოსში სამოგზაუროდ. მისივე თქმით, ეს იგივე თანხაა, რითიც ამერიკაში კერძო საცხოვრებელი სახლის შესაძენადაა საჭირო. ამასთან, არ არის გამორიცხული რომ ცალკეული ადამიანების გამგზავრება დააფინანსონ, რაც საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებსაც მისცემს მარსზე გამგზავრების შესაძლებლობას. მასკი ვარაუდობს, რომ პირველი მსგავსი ფრენა დაახლოებით 6 წელიწადში იქნება შესაძლებელი.

როგორც მოსალოდნელია მარსზე გამგზავრებულ ადამიანს ყველა პირობა ექნება იმისთვის რომ სხვა პლანეტაზე გადარჩეს, თუმცა, მარსის პირველი მაცხოვრებლები ვალდებული იქნებიან იმუშავონ საკმაოდ ინტენსიურ რეჟიმში, ამიტომაც ყველამ ვინც გაემგზავრება, უნდა იცოდეს, რომ მათ შესაძლოა მოუწიოთ მარსის პირველი ბაზის მშენებლობაზე მუშაობაც. დასვენებისთვის დრო არ იქნება, როგორც გეგმაზე მომუშავეები ამბობენ, თუ პირველი მაცხოვრებლები იქაურ ყოველდღიურ პირობებს შეეგუებიან და მარსე გაფრენის პროცესსაც გადაიტანენ, მაშინ იქ კიდევ უფრო მეტი ადამიანის გამგზავრებაზე იფიქრებენ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასკის პროექტის მიხედვით, ის ადამიანები, რომლებიც წითელ პლანეტაზე გამგზავრებას გადაწყვეტენ, დედამიწაზე დაბრუნებას ვეღარ შეძლებენ.

NASA-მ მარსზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საუკეთესო პროექტი დაასახელა.

პირველი ადგილი არკანზასის უნივერსიტეტის გუნდის პროექტმა ძოპჰერუს-მა დაიკავა. მეცნიერები გამოვიდნენ ინიციატივით, მარსზე რობოტების ჯგუფი გაგზავნონ, რომლებიც ფუტკრების სკის მსგავს საცხოვრებელ სახლებს ააშენებენ. მარსზე გაგზავნილი მოდული სახლებს წითელ პლანეტაზე სამგანზომილებიანი პრინტერით დაბეჭდავს, ხოლო ასტრონავტები მარსზე მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩავლენ.

მეცნიერები ეცდებიან გაარკვიონ, შესაძლებელი იქნება თუ არა, რომ მარსი ჩვენს ახალ სახლად იქცეს.

მარიამ შონია
ქ.ფოთის №-6 საჯარო სკოლა

საარჩევნო გაკვეთილები

გავირყვენით???

სამწუხარო ფაქტია, რომ თანამედროვე საქართველოში, უკლებლივ ყველა წარუმატებლობაში და ქვეყნის მარცხში კარაპეტ-მიშას (ნაცმოურად მიშა საკაშვილი) და ნაცსიბინძურის ხელი ურევია! სანამ ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ ქვეყნის ხელისუფლებაში იყვნენ მათი გარეწარი ბელადის მეთაურობით, ვეღარც დავოვლით იმდენი სიბინძურე დამართა ქვეყანას, ეკონომიურად, კულტურულად, განათლების მხრივ, სოფლის მეურნეობაში და განსაკუთრებით ზნეობრივად ხერხემალში გადატეხა, ისე, რომ მთელი ერის ერთ მუშტად შეკვრის შემთხვევასიც აოწლეულებიც არ ეყოფა, რომ მუხლჩაუხრელი შრომით, მდგომარეობამ მხოლოდ დაიწყოს გამოსწორება!!!

ეკლესიების ნგრევით დადგა მისი თარსი ფეხი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. ეშმაკის ლეგიონებით გარშემორტყმულა და შეურყვნელი არ დარჩენილა არცერთი სფერო, რომელსაც შეეხო! თუმცა, მისი უახლოესი სულიერი წინაპრის ულიანოვ ლენინის რეკორდები ვერ მოხსნა ეკლესია-მონასტრების ნგრევა-რბევაში, მაგრამ მისი უგუნურობა იმას კი ჩაწვდა, რომ ქრისტიანობას ზნეობის მსხვრევით უნდა ებრძოლოს (როგორც დაავალეს) და საქრისტიანოსთან მებრძოლი მისი წინაპარ-მასწავლებლების ბრძოლის ხერხები და მეთოდებო უფრო დახვეწა. ეკლესიების ნგრევაზე უფრო ეფექტურად, არც უსაფუძვლოდ ზნეობასთან ომი უფრო მომგებიანად ჩათვალა!!!

სიყრმიდანვე ბილწი, უბანში საშიში და ჩამშვები, ჯერ მილიციას დაუახლოვდა, მერე თემურ ბიძიამ კგბ-ში გაუკვალა გზა და რაკი იმ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცსს-ს და კგბ ერთმანეთს აგენტებს რომ ახევდნენ, დაადგა ცს-მ კგბ-ს ,,ნათელ" სახეს თვალი!

უწყით, სსრკ-ს დროს თბილიში გონებრივი და სხვა მონაცემებიდან გამომდინარე ვერასოდეს გახდებოდა იურიდიული ფაკულტეტის, სამედიცინო ინსტიტუტის და სხვა პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტ, იმათ პატრონი მიათრევდა სხვა ,,მოძმე" რესპუბლიკებში და დებდა ინსტიტუტებში, ასე გაბედნიერა პირველად უკრაინა მიშა საკაშვილად ხსენებულმა! მოგეხსენებათ ღორი, რომ რაღაცის ჭამას დაიწყებს, არაფრით არ დაანებებს თავს და ასე იქცია ,,უნიჭიერესმა" სტუდენტმა ამერიკის ყურადღება და ,,განათლების" დასახვეწად ამერიკაში წაათრიეს მისმა მომავალმა მბრძანებელ-პატრონებმა და რა კი მადა ჭშამაში მოდის, პოლიტიკაშიც მოსინჯეს და უსარგებლოდ გადაქცეული მისი მამა ამხ. შევარდნაძით ჩაანაცვლებინეს და დადეს საქართველოს პრეზიდენტად, თანაც ,,ვარდების რევოლუციად" მონათლეს ეს ჩანაცვლება, კადრებიც შესაბამისი შეურჩიეს და გუნდი შეუქმნეს ნაძირალა პირუტყვებისაგან დაკომპლექტებული, თუ არა ღორის ბუნების, სხვა ვინ იკადრებდა მის გვერდით დგომას, მითუმეტეს მის შნირობას?!

როგორც არცერთი ტუალეტი არ უჩივის ნეხვის სიმცირეს, ისე ვიგინდარა არა ადამიანებით დაკომპლექტებული ნაცსექტაა დამწუხრებული კაცთმოძულეთა სიმცირით მის რიგებში!!! კარაბეტ-მიშას რეგვენი ტვინი არც ჩაურთავთ ისე დაგეგმეს 20 ივნისიც, გავრილოვის ვიზიტიც და რაც მთავარია, გეირეევოლუცია, პრაიდ-უღირსთა ღირსების მსვლელობა ლაფდასხმული გარეწრებისა და ქვეყნის შ/ს მინისტრის ლანდვა-ჩამოშორების იდეა, ვინაიდან ამ სიბინძურეებს არ შეუქმნია სასათბურე პირობები!!! ჯერ სულწარწყმედილმა სერგო ორჯონიკიძემ ააფრიალა თბილისში წითელი დროშა, ახლა მელიქ სააკიანები, გვარამიები, გაბუნიები, თაბაგრები და მათ ნაირები აფრიალებენ ,,ლჯბტ" ჭრელ დროშებს დედაქალაქში, ამათ შერყვნილ აზროვნებაში ეს არის თავისუფლებაც, დემოკრატიაც და ევროპისკენ სწრაფვაც ჩვენ, ქართველებს კი გვგონია, რომ ეს არის ჯოჯოხეთისკენ სწრაფვაც და ერის გაყოლიების მცდელობაც, მაგრამ თქვენდა საუბედუროდ მარტო წახვალთ და ჩამომწკრივდებით წინასწარ თქვენთვის გამზადებულ ადგილას და ერთად იქნებით თქვენს აღა-მაჰმად ხანთან, ჯალალედ ინთან, თემურ ლენგთან, შაჰ აბასებთან, კამოსთან, ლენინთან, ჩვენი დროის საქართველოში მცხოვრებ ნაძირალებთან, სახელობით ვერ ჩამოგითვლით, ერთი სიტყვით ,,ნაცებთან" !!!

არ მაქვს ამბიცია, რომ უსერიოზულეს და უმძიმეს თემებზე წერას და საუბარს მოვახერხებ იუმორის ჟანრში?! მაგრამ უნდა ვცადო მაინც... გავიხსენებ ძველ თქუმლებას ანეგდოტური ნაამბობიდან: თხა და ცხვარი ერთად მიდიოდნენ გზაზე, შემოხვდათ პატარა გუბურა, ერთადერთი საშუალება გზის გაგრძელებისა იყო მასზე გადახტომა. ,,ჯენტლმენმა" თხამ დაუთმო ცხვარს და საშუალება მისცა პირველი გადამხდარიყო. ცხვარიც გადახტა და უკან რომ მოიხედა ხედავს თხა სიცილით იჭაჭება, ლამის მიწაზე გაგორდეს, ცხვარმა მიზეზი კითხა, თხამ უპასუხა, რომ გადახტი კუდი აგეწიაო და უკანალი გამოგიჩნდა ამისთვის ვიცინიო. ცხვარმა არ წამოაყვედრა, მაგრამ გაიფიქრა - შენ სულ კუდაწეული დადიხარ და უკანალიუ მოგიჩანს, მაგრამ არავინ (მათ შორია მეც) დაგცინისო!

ანალოგიურია მდგომარეობა ქართულ ხელისუფლებასა და ნახელისუფლარის ურთიერთობაში!

როცა მტრები 20 ივნისს იყვედრებიან, როდესაც თავიანთი ხელისუფლების სათავეში ყოფნის 9 წლიანი ისტორიის ყოველი წუთი 20 ივნისი იყო!!! დემაგოგიის და სამშობლოს ღალატის გარდა ყველაფერში უვიცებმა ის კარგად იციან, ხელისუფლებაში მობრუნების ერთადერთი გზა ძალადობაა, მაგრამ ვერც ის შეიგნეს, რომ ზიზღის და სიძულვილის გარდა ვერაფერი ვერ დაიმსახურეს!!! იციან, რომ გარდა კაცთმოძულეებისა დედამიწაზე გულშემატკივარი არავინ არ ყავთ ღორებს და არაადამიანებს! არამარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ მეტი ნაძირალა დადის, ამიტომაცაა, რომ მტრული გარე ძალებისაგან დაკომპლექტებული სპეცსამსახურები თითქმის ყველა სფეროში ჩანერგეს ჩვენთან, შორს რომ არ ვეძებოთ მტრები, სრულიად ნაცკორპუსი და მისი ფილიალები არაადამიანებით დაკომპლექტებული სულაც აქ არაგვყავს???

ასწავლეთ ქართულისთვის უცხო, გარე ძალებისაგან მათმა პატრონ-წარმართველებმა, რომ ახლა მათთვის მომგებიანია ხმამაღლა მოთქმა და ვიში ,,გამოგვესარჩლეთ" პოლიტიკურად ვიდევნებითო, პატიოსანი და პატრიოტი ზალები საქართველოში"-ო და დასტურად რუსთავი-2-ის ,,დაწიოკება" დაიხვიეს ხელზე, როგორც ნაცრუპორის ბელადი გვარამია როშავს (უფრო სწორად ნაბეღადარი) თურმე სალია საშუალო დონის იურისტი ყოფილა, ალბათ მისი და მისი ბელადის, კარაპეტ-მიშას ზე იუმორისტობის ფონზე ეცოტავება გვარამიას სალიას იურისტობის კვალიფიკაცია!!!

ახლა კიდევ ერთი ,,სადარდებელი" მოგვემატა ქართველებს, თურმე სალიამ აბსოლიტურად დაუსაბუთებლად ჩამოიშორა პროფესიონალი და მაღალგანვითარებული ჟურნალისტი ნოდარია მელაძე. ,,კაცი" რომელმაც ამ კომპანიაში სანიმუშო საინფორმაციო სამსახური შექმნა და მხოლოდ იმიტომ აითვალისწუნეს, რომ ბიძინა ივანიშვილს ამხელს და სიმართლისთვის იდევნება?! ახლა ,,სიმართლის მოყვარული" რუსთავი-2 ჩვეული გულჩვილობით და პატიოსნებით სიფრთხილისკენ მოუწოდებს საზოგადოებას, რამეთუ ქვეყანაში რეპრესიები დაიწყო, ივანიშვილმა და ხაზარაძეს და ოქრუაშვილს არ პატიობსო თავიანთი სტომაქს ამოსაყორად ცოტაოდენი თანხის მითვისებასო, ამ ცოტაოდენს აღარ დავაკონკრეტებ, თქვენ რომ არ შეშინდეთ ქუჩებში ამისთვის გამოყრილებო!!!

ვაჟა (ბესო) დოლბაია

სპორტი... სპორტი... სპორტი...სპორტი...სპორტი...სპორტი...სპორტი...

სამოყვარულო ფეხბურთი

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს რაგბის სტადიონ ,,პარკი არენა''-ზე გაიმართა XII ტურის ცენტრალური მატჩი სამოყვარულო ფეხბურთში, სადაც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი ფოთის ,,ჭაბონამა'' მასპინძლობდა მეორეადგილოსან ზუგდიდის ,,კორცხელ''-ს. დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს ფოთელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:3 და კიდევ უფრო გაამყარეს სატურნირო მდგომარეობა. მორიგი ტურის მატჩს ფოთელი ფეხბურთელები გამართავენ სტუმრად, სადაც ხობის ,,ხეთა''უმასპინძლებს ფოთის ,,ჭაბონამა''-ს. ამ გუნდებს შორის პირველი წრის მატჩი დასრულდა ფრედ ანგარიშით 1:1.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური გამარჯვებას ულოცავს ფოთელ ფეხბურთელებს და წარმატებებს უსურვებს მომავალ XIII ტურის მატჩში.

ფოთმა შერეულ ორთაბრძოლებში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა

პირველად ფოთში, შერეულ ორთაბრძოლებში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება დია ცის ქვეშ, ქალაქის ცენტრალურ პარკში ჩატარდა, რომელშიც სომხეთის, ინგუშეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს 70-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ფოთელი სპორტსმენებიდან პირველი ადგილი, სხვადასხვა წონით კატეგორიაში, ირაკლი შამათავამ, მიხეილ კუკავამ და ბადრი მოდებაძემ დაიკავეს. გამარჯვებული სპორტსმენები ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვა.

კანოე კაიაკი

მიმდინარე წლის 7-8 სექტემბერს მდინარე კაპარჭაზე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი კანოე კაიაკში, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა ნიჩბოსნებმა.

I ადგილი - ბაიდარებით ნიჩბოსნობა

ლუკა დობორჯგინიძე - 200 მ. და 500მ. დისტანცია

II ადგილები ორიანში

ლუკა დობორჯგინიძე, გიორგი გაგუა - 1 000 მ. დისტანცია

მწვრთნელი: გიორგი ტაბატაძე

II ადგილი კანოე

თემურ ჩიტაია, გიგი კვერნაძე - 1 000 მ. დისტანცია

მწვრთნელი: აკაკი იოსავა

II ადგილი კანოე

გია გაბედავა - 200 მ. დისტანცია

III ადგილი კანოე

დათო ჯანჯღავა - 1 000 მ. დისტანცია

მწვრთნელი: ზურაბ მალანია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს ნიჩბოსნებს და მათ მწვრთნელებს: გიორგი ტაბატაძეს, აკაკი იოსავას, ზურაბ მალანიას და სკოლის მენეჯერს აკაკი იოსავას მიღწეულ წარმატებას.

სამბო



მიმდინარე წლის 1-2 სექტემბერს სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში დიდებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ელიზბარ თურქიამ, რომელიც დღესდღეობით ასპარეზობს ჭაბუკთა შორის, წარმატებით იასპარეზა დიდებში მოასპარეზე მოჭიდავეთა შორის და 62 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა მე-2 საპრიზო ადგილი.

ელიზბარ თურქიამ ფინალურ ასპარეზობამდე დაამარცხა რუსეთის, სომხეთის, ბელორუსიის და რუმინეთის მოჭიდავეები. მან პირველობისთვის ორთაბრძოლა დათმო ბერძენ მოჭიდავესთან, რომელიც გახლავთ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მიღწეულ წარმატებას ულოცავს ელიზბარ თურქიას, მის მწვრთნელებს კონსტანტინე ხუბუტიას და ზურაბ ძაძამიას, სასპორტო სკოლის მენეჯერს გრიგოლ გუგუშვილს.

ხსოვნა

დოდო ალექსანდრეს ასული დარსაძე

სიცოცხლე, რომელიც თაობებს მიეძღვნა

ვინ მოთვლის რამდენი ბაღის აღსაზრდელი გაუცილებია სკოლის ასპარეზისაკენ ქალბატონ დოდო დარსაძეს. თითქმის 6 ათეული წელი იმუშავა ქ. ფოთის ნავსადგურის საბავშვო ბაღში აღმზრდელად. კეთილსინდისიერი, დაუღალავი შრომით უამრავი მადლობის სიგელით არის დაჯილდოვებული, მათშორის ღირსების სიგელით.

ღვაწლმოსილი, დამსახურებული აღმზრდელი, მომავალ თაობას გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე. თავად ეკლესიის წიაღში აღზრდილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თაობების ქრისტიანებად, ღვთის მორწმუნეებად აღზრდას, ნამდვილ პატრიოტებად, მამულიშვილებად ჩამოყალიბებას, თავად მისი ოჯახი მორწმუნეობის და რეჟიმთან შეუთავსებლობის გამო რეპრესირებულიც იყო, მაგრამ გაუტეხელი სულის ადამიანები ბოლომდე თავისი შეხედულებების და ღვთის ერთგულნი დარჩენ.

ღირსეული შვილები აღუზარდა ქვეყანას, პატრიოტები, სამშობლოსთვის თავდადებული.

როცა დედები ტოვებენ ქვეყანას, თითქოს ჩვენი იმედებიც თან მიაქვთ -,,ვიდრე დედა მყავს არ დავბერდები". ქართველი ქალის- დედის ყველა საუკეთესო თვისება ატარა, სანიმუშო ოჯახი, ურთიერთობები ახლობლებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან.

ახლა ყველაფერი ხსოვნაში გადავიდა, მაგრამ იმ ღვთის იმედით ვართ, ღვთისნიერი ადამიანები სამუდამო სასუფეველში ჰპოვებენ განსასვენებელს და შეგვახსენებენ- ადამიანები უკვდავები არა ვართ, მაგრამ სიცოცხლის ძაფი არ უნდა გაწყდეს, კვლავაც მოვლენ თაობები, ცხოვრება თავისი გზით წავა და ბევრჯერ მოგგვრის ცრემლებს კედელზე დაკიდებული დედის სურათიდან სევდიანი გამოხედვა, თითქოს ისევ ჩვენზე დარდობს და გვეკითხებაროგორა ხართ?

სხვა რა დაგვრჩენია, ეკლესიაში დანთებული სანთლები და საფლავთან მიტანილი ყვავილები...

ღმერთს ებარებოდე დიდებულო ქალბატონო.

ახლობლები, მეგობრები

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემია დიდ მწუხარებას გამოთქვამს, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს ზურაბ ცხვიტარიას დედის-კარგი აღმზრდელის

დოდო დარსაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია იზიარებს ზურაბ ცხვიტარიას მწუხარებას დედის- დამსახურებული აღმზრდელის, ღირსეული ფოთელის

დოდო დარსაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია იზიარებს ქალბატონ დარეჯან ჩაჩავას მწუხარებას დედის, კარგი ქალბატონის

მერი ჩაჩავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა